



ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №18

2017 წლის 28 ივლისი
ქალაქი ახალციხე

ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ“, „დ.დ“, „დ.ე“ ქვეპუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების შესაბამისად, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობები დანართი N1-ის შესაბამისად.

მუხლი 2.

დამტკიცდეს ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომითი ხელშეკრულებით დაკავებული პოზიციების ნუსხა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობები დანართი N2-ის შესაბამისად.

მუხლი 3.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 ივლისის №19 დადგენილება.(ვებგვერდი,24/07/2014, სარეგისტრაციო კოდი: 190040000.35.138.016144)

მუხლი 4.

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

ახალციხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის
დროებით შემსრულებელი

გელა ნოზაძე